სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-07

ქ. თბილისი

15.01.2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის ვადების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-19 მუხლის და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის თაობაზე განცხადებების მიღების ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 22 იანვარი;
2. სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის თაობაზე განცხადებების განხილვა და ხელშეკრულებების გაფორმება მოხდეს 2015 წლის 26 იანვრის ჩათვლით;
3. დაევალოს ფაკულტეტებს, არაუგვიანეს 2015 წლის 27 იანვარს აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს მიაწოდოს იმ სტუდენტთა სია, რომლებიც სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის შესახებ გააფორმებენ ხელშეკრულებას;
4. დაევალოს აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს 2015 წლის 30 იანვრამდე ფინანსურ ბაზაში ასახონ ფაკულტეტების მიერ მიწოდებული ინფორმაცია;

5. ფაკულტეტებს დაევალოს უზრუნველყონ ამ გრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის;
6. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე, ირინა ბაზღაძეს დაევალოს ამ გრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი" ს საშუალებით;
7. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ გრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
8. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს გრძანება გააცნოს ფაკულტეტებს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სამდივნოს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე – ირინა ბაზღაძეს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით აფრასიძე